Language of the Audio-Visual Art and the Interpretation of History (According to the "Magnificent Century")

აუდიო- ვიზუალური ხელოვნების ენა და ისტორიის ინტერპრეტაცია („დიდებული საუკუნის" მიხედვით)

Nino Gelovani
Assistant of the Department of Cinema and Television Arts,
Javakhishvili Tbilisi State University,
Tbilisi, Chavchavadze Avenue, 14, Georgia,
ORCID: 0000-0002-9211-9783
nino.gelovani@tsu.ge

Abstract

Visual storytelling of history involves a complex and multifaceted process. The historical drama "Magnificent Century" on television uses social and political allusions drawn from sources that describe and recall particular situational scenarios to sum up or represent the events of the time, the constructivist version of the series, on the other hand, calls into question the accuracy of historical facts and their cultural setting.

Historical movies have a big impact on how people see historical events and facts. In film episodes, historical periods or figures are dramaturgically at the center of events, and from a new (fictional) reality, the spectator is pushed to the point of attack (climax), to make the tale more engaging. This is similar to how historians recreate the past via written words.

We will attempt to present a broad overview of the interpretations of the historical narratives provided to the public by the series' creative team in this article based on the resources we have gathered and examined. The primary question is, "How is it created?" and "How is the narrative's modelled in the visual?" It is a work of art, as emphasized by the series' screenwriter Meral Okay and producer Timur Savji, yet it deals with the portrayal of historical individuals. According to the outcomes of exhibiting the image, the line between historical fact and fiction was not particularly clear to the TV viewers.

Keywords: historical, interpretations, glorious century, era, Suleiman the First, TV series, visual media.

ნინო გელოვანი
ივ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის კინო ტელე ხელოვნების კათედრის ასისტენტი
ქალაქი თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 14, საქართველო
ORCID: 0000-0002-9211-9783
nino.gelovani@tsu.ge

აბსტრაქტი

ვიზუალური ხელოვნების გზით ისტორიის გადმოცემის პროცესი რთული და მრავალწახნაგოვანია. სატელევიზიო სერიალი ,,დიდებული საუკუნე" არის ისტორიული ფილმი, სადაც გამოყენებულია ეპოქის, წარსულის მოვლენების შეჯამების ან სიმბოლიზაციის მიზნით, ისტორიული მასალების სოციალური და პოლიტიკური ანარეკლები, რომლებიც ასოცირდება კონკრეტული სიტუაციური კონტექსტების აღწერასა და მეხსიერებასთან. თუმცა, სერიალის კონსტრუქტივისტული ვერსია ეჭვქვეშ აყენებს ისტორიული ფაქტების რეალობას და მათ კულტურულ კონტექსტს.

ისტორიული ფილმები დიდ როლს ასრულებენ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების შესახებ საზოგადოებრივი წარმოდგენის შეცვლაში. თუ ისტორიკოსები აღადგენენ წარსულს წერილობითი სიტყვებით, ფილმის ეპიზოდებში ისტორიული ეპოქა ან პიროვნებები დრამატურგიულად მოვლენების ცენტრშია და ახალი რეალობიდან (შეთხზული) მაყურებელი მიზანთან მიჰყავთ შეტევის წერტილით (კულმინაციით), რათა ამბავი უფრო საინტერესო გახდეს.

შეკრებილი და გაანალიზებული მასალების საფუძველზე სტატიაში შევეცდებით ვაჩვენოთ საერთო სურათი სერიალის შემოქმედებითი ჯგუფის მიერ მაყურებლისთვის შეთავაზებული ისტორიული ნარატივების ინტერპრეტაციებისა. მთავარი კითხვა კი არის შემდეგი: „როგორ იქმნება" და როგორ არის მოდელირებული ისტორია ვიზუალურ თხრობაში.

სერიალის სცენარისტი მერალ ოქაი და პროდიუსერი თიმურ სავჯი აღნიშნავდნენ, რომ მძაფრსიუჟეტიანი სერიალი იყო მხატვრული ნაწარმოები, მაგრამ რთული არ არის იმის გააზრება, რომ ტელეაუდიტორიამ საკუთარი თვალით იხილა ისტორიული ფიგურების წარმოდგენა. თუ სურათის ჩვენების შედეგებზე დაყრდნობით ვიმსჯელებთ, ტელემაყურებლისთვის ზღვარი ისტორიულ ფაქტს და წარმოსახვას შორის არც თუ ისე მკაფიო იყო.

საკვანძო სიტყვები: ისტორიული, ინტერპრეტაციები, დიდებული საუკუნე, ეპოქა, სულეიმან პირველი, სერიალი, ვიზუალური მედია.

შესავალი

ისტორიკოსები აკავშირებენ და აღწერენ ფაქტებს რაც მოხდა (არისტოტელე, 2000: 9). თუმცა, თანამედროვეობაში წარსულის აღწერა სცდება მხოლოდ იმის თქმას, რაც მოხდა. აუდიოვიზუალური ხელოვნების ნაწარმოების ფუნქციაა ისეთი სიუჟეტური ქარგის გადმოცემა, რაც გამოხატავს სამყაროში რაღაც უნივერსალურს. რეპრეზენტაციის თეორია იქცა თეორიად იმის შესახებ, თუ როგორ უკავშირდება ისტორიული ტექსტი წარსულს, მაგრამ საკვლევ საკითხთან მიმართებაში არის ერთი ასპექტი, რომელიც არ ჯდება წარმომადგენლობით თეორიაში. საქმე ეხება ისტორიული ცნობიერებას ან ისტორიის აღქმას, რომლის წყალობითაც ჩვენთვის ზოგადად ცნობილია წარსულის არსებობის შესახებ. სერიალმა, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, სულთან სულეიმანის წარმოსახვითი იდენტობა შექმნა. ამიტომ მიმაჩნია, რომ დიდებულმა საუკუნემ შეცვალა ხალხის წარმოდგენა ისტორიულ მოვლენებსა და ფიგურებზე. სურათები, რომლებსაც ეკრანზე ვხედავთ, წარსულის ჩვენებაა: ისტორია, კინოთეატრიდან ან სატელევიზიო ეთერიდან ლამაზად შეფუთული და ასე ვიზუალური ენით მოყოლილი.

წარმოდგენილ სტატიაში ზემოთდასახელებული სერიალის მაგალითზე მიზნად დავისახეთ განვიხილოთ ისტორიის და ისტორიული პიროვნების თანამედროვეობაში აღქმის პროცესი. როგორ შეესაბამება ვიზუალური თხრობა ისტორიულ ფაქტებს: სერიალში ნაჩვენები წარსულის მოვლენები რეალურია თუ წარმოსახვითი? და რაც მთავარია, როგორ განიხილავს ტელემაყურებელი სულთან სულეიმანის პორტრეტს.

მეთოდი

ინტერდისციპლინური მიმართულების ნებისმიერი ჟანრისა და ისტორიული პერიოდის გათვალისწინებით გავაანალიზე ის ძირითადი ავტორები, თემები და გამოცემები, რომელთა საშუალებით ისტორიის თხრობისას შესაძლებელი ხდება მისი იმგვარი ინტერპრეტაცია, რომ შეგნებულად წინ წამოიწევა მოვლენათა ნაწილი ისეთად, რომ მიღებული ისტორიული ნარატივი მკითხველის ინტერესებს ემსახურებოდეს. დიდი ყურადღება ეთმობა თვისობრივი კვლევის მეთოდებსაც. სტატიებისა თუ მონოგრაფიების სტრუქტურული ანალიზით შევეცადე მოვლენათა ახსნას, მათი ბუნებისა და კონტექსტის განსაზღვრას. ნებისმიერი წერილი თუ რეცენზია შეიძლება განვიხილოთ როგორც ცალკეული მოვლენა, თუმცა შეგვიძლია ის უფრო ფართო პროცესის ნაწილად მოვიაზროთ. ნაშრომში განხილული პრობლემური საკითხები, პარალელები და შესაბამისი კონტექსტი, ჩ ვ ე ნ ი აზრით, წარმოჩენილია იმ მეცნიერთა შრომებში, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ეხებიან ამ საკითხს, რამაც სტატიის ზოგადი ფონი კიდევ უფრო გასაგები გახადა.

შედეგები

მენტალობისა და ინტელექტუალობის ისტორია შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც გამოცდილების ისტორია. ეს არის „ინტელექტუალური ემპირიზმი“, თუ როგორ აღვიქვამთ წარსულს, თუ როგორ წარმოიშობა წარსულის გამოცდილება ერთდროული გამჟღავნებისა და აღდგენის მომენტში (Макаров, 2021:8). ამ მხრივ ,,დიდებული საუკუნე“ ყოველთვის რეიტინგების პირველ ადგილზე იყო და დიდი პოპულარობა მოიპოვა. სერიალის პარალელურად განიხილებოდა სულეიმანის მეფობის ისტორიული მოვლენები.

კაცობრიობის განვლილი გზის, წარსულის მთელი მრავალფეროვნებისა და კონკრეტული მოვლენების განვითარების პროცესის შესასწავლად ისტორიკოსებს გონება ღია

უნდა ჰქონდეთ, როდესაც ისინი იკვლევენ უნიკალურ დოკუმენტებს,რარიტეტულ გამოცემასა და ძველნაბეჭდ წიგნებს. მათ უნდა აცნონ მკითხველს მოვლენები შთაბეჭდილების შესაქმნელად (დევისი, 2000: 4). დევისის მიერ ნახსენები კრიტერიუმები მხოლოდ ისტორიის დაწერის მორალურ ფაქტორებზეა ორიენტირებული. ისტორიკოსები ხომ წარსულს წარმოაჩენენ ფაქტების, მონაცემების გამოყენებით. მათ მიერ ჩამოყალიბებული პრეისტორიული მოვლენები როგორც წერილობითი, ასე დაუწერელი, გვეხმარება გავიგოთ ისტორია. აშკარაა, რომ სერიალმა ,,დიდებულმა საუკუნემ" გააძლიერა ინტერესი ისტორიისადმი, ასევე შეცვალა ისტორიის აღქმაც. მიუხედავად იმისა, რომ სერიალი არ არის ერთადერთი ნაწარმოები ოსმალეთის იმპერიის ისტორიის შესახებ, გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ მსოფლიოში ყველაზე მოთხოვნადი, პოპულარული სატელევიზიო პროდუქტია. არსებობს ოფიციალური ისტორია და არის არაოფიციალურიც, ჩვენ შევეცადეთ ქრონოლოგიურად მივყვეთ მოვლენების სიზუსტეს.

სერიალის ეთერში გასვლისთანავე მაყურებლის პირველი რეაქცია კრიტიკული იყო, ეს ქარცეცხლი მოჰყვა შეჰზადე მუსტაფას სიკვდილით დასჯას, სულეიმანის, როგორც მამის, მშობლის როლსა და მის გადაწყვეტილებას. ტელეაუდიტორია სულთან სულეიმანს სდებდა ბრალს, რომ ის იყო სასტიკი და არ შეეფერებოდა კანონის ტიტულს. შეჰზადე თავის მხრივ მიიღეს მოწამედ, რომელიც მამაცურად შეხვდა სიკვდილს. კომენტარები ძირითადად ფოკუსირებული იყო სულთან სულეიმანის სისასტიკეზე: მათი აზრით, სახელმწიფოს მეთაური უნდა იყოს ჰუმანისტი. ადამიანმა, რომელმაც საკუთარი შვილი მოკლა, შეიძლება თვალის დაუხამხამებლად მოკლას თავისი ერი.

დისკუსია

ბოლო დროს თურქულმა დრამამ დაიჭირა ახალი მიმართულება: გაზარდა წილი სერიალებისა ისტორიულ და ნაციონალურ თემატიკაზე. ცნობილ ისტორიულ სერიალებში: „შენ-ჩემი ქვეყანა", „დიდებული გამომძიებელი ფილინტა", „დიდებული საუკუნე" მოქმედება ვითარდება ოსმალეთის იმპერიის ხანაში. იქიდან გამომდინარე რომ ამ სერიალებს მაღალი რეიტინგი ჰქონდათ ჩვენების მხრივ მთელს მსოფლიოში, მაინც დაიმსახურეს კრიტიკა და ბრალდებები. სცენარისტებს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ ისტორიული ფაქტები იყო ფალსიფიცირებული და რეალური ისტორია არ იყო გადაღებული ისტორიული ფაქტების შენარჩუნებით, ხოლო პროდიუსერებს ამტყუნებდნენ იმაში, რომ მათ უგულებელყვეს ის თემები, რომლებიც საზოგადოების აზრით მთავარი იყო და არ შეიძლებოდა ისტრიული დრამის სერიალის სიუჟეტში ასეთ დაბალ კონტექსტში გადაწყვეტა. მეორე მხრივ, განსაზღვრულ სიუჟეტებს მთლიანად მხარს უჭერდა მოქმედი მთავრობა და ოპოზიცია. ორივე მხარეს წარმოდგენილი ჰქონდა აუცილებელი პირობები შეექმნათ ისეთი სიუჟეტები, რომლებსაც უნდა წარმოეჩინათ ინტერესი და ისე მიეტანათ გზავნილი საზოგადოებისთვის (გელოვანი, 2021:3). ცნობილი ფაქტია, რომ მთელ მსოფლიოში სატელევიზიო არხები ერთმანეთს უწევდნენ კონკურენციას და კამათობდნენ, პირველი ვინ ჩაუშვებდა სატელევიზიო ბადეში. ცისფერ ეკრანზე გასული დრამა გახდა არხის ფინანსური მოგების გარანტი, მართლაც, სატელევიზიო პროდუქტი გამოსვლისთანავე რეიტინგების სათავეში მოხვდა.

სერიალში მოთხრობილია ისტორია ოსმალეთის იმპერიის ,,ოქროს ხანისა", როდესაც მას სულეიმან ბრწყინვალე მართავდა ოცდაერთი წლის განმავლობაში. თითოეული სერია მოგვითხრობს ისტორიული გმირის ცხოვრებაზე, მის მიერ ჩატარებულ დამპყრობლურ

მაშტაბურ და სისხლისმღვრელ ომებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ემოციურ განცდებს, რომლებიც უკავშირდება ქალების დიდ რაოდენობას და მის ურთიერთობებს გარშემომყოფებთან. სულეიმან ბრწყინვალეს პერსონაჟი თავის პროტოტიპთან შედარებით ნაკლებადაა ჩართული ისტორიულ მოვლენებში. სერიალში იგი წარმოჩენილია არა იმდენად როგორც მეომარი-გმირი, არამედ როგორც მზრუნველი საკუთარ ცხოვრებაზე თავისი ბრწყინვალებით, ინტერესებითა და დაპყრობებით. სულეიმან სულთანის ქმედებები წინააღმდეგობაში მოდის მისსავე რელიგიურ და მორალურ დოგმებთან. მაყურებელთა გარკვეული ნაწილი შეაცბუნა იმ ფაქტმა, რომ შეცვლილია სახე ოსმალეთის დიდი სულთანისა მისივე დიდი გმირული ისტორიები. სხვადასხვა საინფორმაციო მასობრივი საშუალებები წერდნენ და აშუქებდნენ, რომ სერიალი შემოქმედებითი ჯგუფის წარმოსახვაა, სადაც მრავალი მოქმედებაა გამოგონილი იმისთვის, რათა მოიზიდონ უფრო ბევრი მაყურებელი. სამოქალაქო აქტივისტების ჯგუფმა პარლამენტისგან მოითხოვა აეკრძალათ ცალკეული სერიების ჩვენება, რომელშიც ფალსიფიცირებული იყო ისტორია და სახელი ოსმალეთის სულთანის - სულეიმან კანუნისა.

„ისტორიული ფაქტების ფალსიფიცირება“, ეკრანზე გაშვებული სიყალბე, როგორ გვატყუებენ ? დაიწყო გამოსვლები და სკანირება, ეს ხალხი უნდა ვამხილოთ ისტორიული ფაქტების დამახინჯების საქმეში. უნდა აღინიშნოს, რომ სერიალმა მხარდაჭერა მიიღო ოპოზიციისგან,ასევე არ აკლდა მოსახლეობის კონსერვატიული ნაწილის მხარდაჭერა.

სერიალის წარმოებას მწვავე შეფასება მისცა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯიპ ტაიპ ერდოღანმა. მან გამოხატა უკმაყოფილება ტელეარხით ნაჩვენები ისტორიული პირების მიმართ, ჩვენ არ გვყავს ასეთი წინაპრები, რომლებსაც თქვენ აჩვენებენ მთელ მსიფლიოს.პრეზიდენტმა ერდოღანმა მოინახულა გადაღების ადგილი, იქვე განაცხადა, რომ პრეზიდენტის ოჯახი იშვიათად ლაპარაკობს ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში გაჩუმება არ შეიძლებოდა, რადგან ყოველი მეორე მოქალაქე თვლიდა, რომ ფაქტები დაუცველი იყო სერიალში გადაღებულ ისტორიულ პიროვნებასა და მოღვაწეობის ეპოქაზე (გელოვანი, 2009: 37-38).

კინოსა თუ თეატრში საერთო, ისტორიული მოვლენების თხრობისას უპირატესობა ენიჭება გმირების ორგანზომილებიან გამოსახვას, პერსონაჟების სიღრმის იგნორირებას, რადგან ისტორიის დამახინჯების ან არ დამახინჯების საზრუნავი მთხრობელს ჩაგრავს (Rosenstone, 2006:4). ამიტომ არავის უნდა მივცეთ უფლება არსებული რეალობის უხეშად დამახინჯების. პერსონაჟი ან კარგია ან ცუდი, მოწყალე ან დაუნდობელი... სერიალის მიზანია უფრო ახლოს დავაკვირდეთ პერსონაჟების შინაგან სამყაროს, ისე როგორც დოკუმენტურ ფილმში. სულთანი უფრო რეალისტურია, როგორც ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ ის არის იმ -დროის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მმართველი. ამ მიზეზით მათ ამჯობინეს აღეწერათ ოსმალეთის იმპერიის სულეიმანი ისეთივე სიყვარულით, როგორსაც იგი გრძნობდა ხარჭის მიმართ და ისეთივე სინანულით, როგორსაც განიცდიდა შვილის სიკვდილის გამო. მიუხედავად იმისა, რომ სულეიმანის, როგორც ჩვეულებრივი ადამიანის აღწერის მცდელობა ერთდროულად ხდება, ასევე ცხადია, რომ მთელი სერიალის განმავლობაში პერსონაჟის გარშემო არის დამცავი ზონა, თითქოსდა სულეიმანის სასახლეში არ არის ინტრიგები, არეულობა, ტყუილი. სერიალში სულთანი არის როგორც მფარველი მამა სახელმწიფოს სათავეში, ასევე მისი შვილების მამა. თხრობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მამაშვილობის საკითხს. სულთანის ფიგურა საკმაოდ რევოლუციურია. სულთან სულეიმანს მამამისი, რომელიც მის მოკვლას ცდილობდა, სასტიკად თვლის და არასდროს სურს მისნაირი იყოს. ძლევამოსილ სულთანს სჯერა, რომ სისასტიკის გზით მიღებული უმაღლესი

წარმატებებით დაამარცხებს მამას, თუმცა, როდესაც მისი აბსოლუტური ძალაუფლება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, სულეიმან პირველი კანონი მიიღებს სკეპტიკურ დამოკიდებულებას მამისაგან - სელიმ სულთანისგან.

ხშირად სულეიმანს ადანაშაულებენ მამის მსგავსად გადაწყვეტილების მიღებასა და ვერაგ მკვლელობაში. ეს ბრალდება სულეიმანს ძალიან აზარალებს. გავიხსენოთ ჰატიჯე სულთნის ეპიზოდი, როცა ფადიშაჰმა სიკვდილით დასაჯა მისი მეუღლე პარგელი იბრაჰ-ფაშა, და ადანაშაულებს სულეიმანს მამის მსგავსად მკვლელობაში. ამ სიტუაციას სულთანი შინაგანი ხმით ხსნის: „ჩემი ოჯახი დაზარალდა ამ გადაწყვეტილების გამო, რომელიც პირველად მივიღე... მეშინია, არ გავხდე სასტიკი, სისხლიანი...“ (ეპიზოდი: 21). სულეიმანი ირონიულად ამჟღავნებს თავის შიშს, რომ არ დაემსგავსოს მამას. შესაძლოა, იმის გამო, რომ მამამისი ერთადერთი ადამიანი იყო, ვისი გადაწყვეტილების მოწონებაც ერთდროს შეძლო. გარკვეულწილად, ეს ასევე იძლევა პირველ სიგნალს, რომ მან დაიწყო მამის გაგება.

იბადება კითხვა, ნუთუ ძალაუფლებისკენ მიმავალი გზა აუცილებლად სისასტიკეზე გადის? სულეიმანისთვის მამობის საკითხი საკუთარ მამასთან შინაგანი ბრძოლიდან გადადის საკუთარ შვილთან, მამაშვილობასთან ბრძოლაში. მმართველობასა და მამად ყოფნას შორის დიდი განცდაა. სერიალში ხშირად ხაზგასმულია ამ ორი პოზიციის თანაარსებობის შეუძლებლობა, რაც მამიდან შვილზე გადადის, მამის მთელი ძალაუფლებისთვის საფრთხედ აღიქმება, სიმბოლური მამა და ნამდვილი მამა ამ სფეროში გადაჯაჭვულია. მამა კულტურული გაგებით კანონმდებელია. ის საშუალებას იძლევა ჩაანაცვლოს სოციალიზებული სიმბოლოები არაცნობიერი სურვილებით. ისტორია არის შემოქმედების ბრძოლა, რომელსაც სჭირდება კრეატიულობა, რათა ის გამართული გახდეს (Erdem, 2019:74). თუმცა, ისტორიკოსებს არ შეუძლიათ წარსულის ცოდნა. მათ შეუძლიათ მხოლოდ იცოდნენ ისტორია, რომელიც შედგება წარსულის შესახებ შექმნილი ტექსტებისგან (Erdem, 2019: 83). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სცენარისტს სურდა ეჩვენებინა ისეთი ისტორია, სადაც სულთან სულეიმანი არა მხოლოდ სუვერენია, რომელიც იპყრობს მიწებს, არამედ როგორც ადამიანი, რომელიც იბრძვის საკუთარი ოჯახის მართვისა და იმავდროულად მეფობისთვის. კინოსა და ტელევიზიას განსხვავებული ენა აქვს. ფილმი თავის ძალას ცნებების ვიზუალური წარმოდგენებიდან იღებს; ისტორიული ლიტერატურა ცდილობს გავლენა მოახდინოს მკითხველთა აზრებსა და ემოციებზე სიტყვების გამოყენებით (Mandal, 2005:37). სურათები, რომლებსაც ეკრანზე ვხედავთ, უფრო იოლად გვარწმუნებს წარსულის ჩვენებაა: კინომ ჩაიწერა ბუნებრივი სამყარო, ისევე როგორც ისტორიამ ჩაიწერა წარსულის ანგარიშები (Barta, 1998: 2).

დრამატული ფილმი ფოკუსირებულია ინდივიდებზე, ასახავს ისტორიულ პროცესებს გმირების თვალით. ის არა მხოლოდ წარსულის იმიჯის შექმნას ისახავს მიზნად, არამედ ისტორიულ სიტუაციებზე ემოციური რეაქციის შექმნა სურს. ცალკეული ფილმები გამოცდილებაზე ფოკუსირებით გამოირჩევიან აკადემიური ისტორიისგან. ისინი უფრო ახლოს არიან ბიოგრაფიასთან, მიკროისტორიასთან, ან პოპულარულ ისტორიასთან, ვიდრე ისტორიკოსის აკადემიური ნაშრომები. თუმცა, დრამატული ფილმი გარკვეულ მსგავსებას იზიარებს ისტორიკოსების მეთოდებთან. თითოეულ ამბავს აქვს დასაწყისი, შუა და დასასრული ძლიერი მორალური გზავნილით. წარსულის შეცდომებისა თუ სიამოვნების ჩვენებით, კინორეჟისორები ახერხებენ აჩვენონ, თუ რა დაკარგა კაცობრიობამ მათი ნამუშევრებით, ისევე როგორც ამას ისტორიკოსი აკეთებს (Rosenstone, 2001: 16). დაწერილი ისტორიების მსგავსად, ფილმები არის არა სარკეები, რომლებიც აჩვენებენ რაღაც გაუჩინარებულ რეალობას, არამედ კონსტრუქციები,

ნამუშევრები, რომელთა წესები წარსულის კვალთან ურთიერთობისა და წერილობითი ისტორიისგან აუცილებლად განსხვავდება. სწორედ ფილმის ამოცანაა, წარსულს დაამატოს მოძრაობა, ფერი, ხმა და დრამა?" (Rosenstone, 2001: 37). ისტორიული ფილმი ქმნის გამოგონილ რეალობას, რომელიც მეტაფორების გამოყენებით სვამს კითხვებს წარსულის შესახებ. იგი განსხვავდება წერილობითი ისტორიებისგან. თუმცა, თუ მოვახერხებთ მის სწორად „წაკითხვას", ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ ის გზავნილი, რომლის გადმოცემაც კინორეჟისორებს სურთ. დიდებული საუკუნის გმირების რეალური ცხოვრების ასახვამ გარდაუვლად გამოიწვია საწინააღმდეგო იდეოლოგიების კონფლიქტი, რომელიც ეხება გენდერულ როლებს; ანუ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას, სულთან სულეიმანსა და ჰიურემს შორის ურთიერთობის დინამიკა არის ერთ-ერთი თემა, ორ პერსონაჟს შორის განსხვავებულად ინტერპრეტირებული მამაკაცებისა და ქალების მიერ. ყველა კითხვა ატარებს ფარულ თემას: ძალაუფლებას. აუდიტორია თანხმდება იმაზე, რომ ჰიურემი აკონტროლებს სულეიმანს ურთიერთობაში. თუმცა, იგი ძალაუფლებას სულეიმანისგან იღებს. ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სერიალი კაცის იდეალიზაციას უფრო ახდენს, ვიდრე ქალისას. სერიალში გამოგონილი იყო ქალების ბრძოლა ისტორიულ კონტექსტში. სერიალის პირველი ეპიზოდები ამის დასტურია: ჰიურემი სულეიმანს აშორებს მეუღლეს - მაჰიდევრანს, ის არის ქალი, რომელიც აცდუნებს სულთანს, მისი ბრძოლა მოიცავს კონფლიქტებს სულეიმანის დედას და დასთან. მიმაჩნია, რომ ისტორიული მოვლენების მოდერნიზაციის მიზეზი მაყურებლის პერსონაჟებთან იდენტიფიცირება და შოუსადმი ინტერესის ამაღლება იყო.

ჰიურემის პერსონა სერიალის შემოსავლის გაზრდის საშუალებაა. ,,დიდებული საუკუნე" ამ მხრივ წარმატებულია. სერიალმა არა მარტო მწარმოებლებს, არამედ ეკონომიკასაც მოუტანა სარგებელი. ტელესერიალმა ,,გააძლიერა" ოსმალეთის თემატიკის პროდუქტების ეკონომიკა, მათ შორის ისტორიული წიგნების გამოცემა- გაყიდვა. გარდა ამისა, ყველაფერი, რასაც ჰიურემი შოუში იყენებდა, გაყიდვადი პროდუქტი გახდა: მისი კოსტიუმები, აქსესუარები, პარფიუმერია და თმის ფერიც კი. სერიალის ეთერში გაშვების პარალელურად მკითხველს შესთავაზეს ,,მუჰიბის" ხელმოწერით პოეტ სულეიმანის ლექსები,რომლებიც საყვარელ ცოლს მიუძღვნა.

ისეთი მსახიობის მიერ შესრულებულმა როლმა, როგორიც ჰალიტ ერგენჩია, ისტორიულ სულეიმანს თავიდანვე სიმპათიური, სასურველი ეპითეტები დაუმატა. გარდა ამისა, გმირისთვის საგულდაგულოდ მომზადებული კოსტიუმები, დეკორი და მაკიაჟი ასევე მხარს უჭერს პერსონაჟის ,,ქარიზმატულ დიზაინს". სერიალის ტელეეთერში გასვლის დღიდანვე სულეიმანის გამოსახულება ჩნდება მრავალ გამომხატველობით ნამუშევარში არა მარტო თურქეთში, არამედ მთელ ევროპაში.

ისტორიულ-მძაფრსიუჟეტიან დრამაში სულთანი, ზოგადად, ერთი მხრივ კეთილშობილი, ძლიერი და სათნოა, მეორე მხრივ, რომელიმე ეპიზოდში მხედარმთვარი და რეფორმატორი - აგრესიულ, დაუნდობელ ჯარისკაცად წარმოჩინდება.

დასკვნა

ამ კვლევის ფარგლებში, შევეცადეთ გამოგვეკვეთა ისტორიული თხრობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი ოსმალეთის იმპერიის მეათე სულთანი სულეიმანი. სერიალის საერთო ნარატივი კი, მისი ძლევამოსილი იმიჯია. უდავოა, სიუჟეტმა დიდი როლი ითამაშა აუდიტორიის რეაქციაზე, შეიცვალა წარმოდგენა ისტორიულ ეპოქასა და პიროვნებაზე.ხალხი

ითხოვდა ისტორიის წიგნების ხელახლა დაწერას,გასაჯაროებას არქივში დაცული დოკუმენტების და ჩანაწერების. მათი აზრით, სერიალში „ოფიციალური“ ისტორია და ფაქტები არასწორად, არასრულად იყო ასახული. აშკარაა, რომ ,,დიდებულმა საუკუნემ“ გააძლიერა თურქების ინტერესი ისტორიისადმი. ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ისტორიის სპეციალობის სტუდენტთა რაოდენობა.

ცხოვრება ზედმეტად მრავალმხრივია. ისტორიული ცოდნის სტატუსი ეფუძნება ისტორიულ ვერსიებს, ასე რომ, ისტორია ნარატიული დისკურსია და მისი შინაარსი ისეთივე გამოგონილი ან წარმოსახულია, როგორც ნაპოვნი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სერიალი გახდა პოლიტიკური კლიმატის გაგების ფაქტორი. ეს ნარატივი ზოგჯერ ძალაუფლების დისკურსების დამადასტურებელია, ზოგჯერ კი, ,,კოროზიული“.

ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული გარემოებებისა და ფაქტების გათვალისწინებით შევეცადეთ გამოგვეკვეთა ის შუქ-ჩრდილები, რაც არსებობდა. თუმცა მათი შეფასებისას ყოველთვის ვცდილობდით გამოგვენახა „ოქროს შუალედი”. ზოგიერთ ადამიანს ნამდვილად სჯერა, რომ გამოგონილი სამყაროს გმირები ვართ. ისტორიას ხომ გამარჯვებულები წერენ. ახლა, ათასწლეულების შემდეგ მხოლოდ უნდა დაფიქრდე, იყო თუ არა ისტორიის ინტერპრეტაცია მწარმოებელ საპროდიუსერო კომპანიის: ,,Tims&B Productions“-ის მიზანი, პასუხისმგებლობა და განსაკუთრებული და უნიკალური დანიშნულება.

გამოყენებული ლიტერატურა

პირველადი წყარო

სერიალი დიდებული საუკუნე. (2011). თურქეთი.

არისტოტელე. (1971). თარგმნა ბ. ბრეგვაძემ. თბილისი: ჟურნ: ,,საბჭოთა ხელოვნება”.

გელოვანი, ნ. (2019). *სატელევიზიო სერიალის სპეციფიკა.* თბილისი: თსუ გამომცემლობა.

გელოვანი, ნ. (2021). *თურქული სერიალების ისტორიულ-კულტურული ინტერპრეტაცია.* თბილისი: Silk Road Conference.

მსოფლიო ისტორია. (2016). თბილისი: პალიტრა L.

სვანიძე, მ. (2007). *თურქეთის ისტორია.* თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.

Machiavelli, N. (2019) . *Stanford Encyclopedia of Philosophy.*

Maclahan, H. (2001). *TELEVISION: THE SHIMTY GIANT.* Publishing: ,,Art“.

Макаров, О. (2021). *История.* Изд: Москва.

Barta, T. (1998). *Screening the Past: History since the Cinema.* Cambridge Praeger.

Barkey, K. (2008). *Empire of Difference: The Ottomans in Comparative Perspective.* Published by: Oxford University Press.

Davis, N. (2000). *Film and Historical Vision.* Cambridge: Harvard University Press.

Erdem, Y. (2019). *Popular History and Popular Historiography.* İstanbul: Timaş Publications.

Mandal, S. (2005). *Film and Fiction.* Jaipur. Rawat Publications.

Rosenstone, R. (2001). The Historical Film: Looking at the past in a Postliterate Age in The Historical Film: *History and Memory in Media*. New Jersey: Rutgers University Press https://roii.ru/conf/2008/7-8.pdf

REFERENCES

Primary source

satelevizio seriali *"didebuli saukune* (2011) TV series "Glorious Century". (2011). Turkey.

aristotele (1971), *targmna n. bregvadzem, zhurn."Sabch'ota khelovneba" [Aristotle, Translated by Bregvadze B. Tbilisi, Journal: "Soviet Art"].*

gelovani n. (2019), *satelevizio serialis spetsipika. tbilisi, tsu gamomtsemloba. [Gelovani, N. (2019). Specifics of the TV series. Tbilisi, TSU publishing house.]*

gelovani n. (2021). *turkuli serialebis istoriul-k'uturuli interpretatsia. tbilisi, Silk Road Conference. [Historical-cultural interpretation of Turkish TV series. Tbilisi, Silk Road Conference]*

msoplio istoria (2016). *tbilisi, palitra L.[World history, (2016). Tbilisi, Publishing House: "Palitra L"]*

svanidze m. (2007) *turketis istoria, tbilisi, gamomtsemoba "artanuji", [*History of Turkey, Tbilisi, Publishing House: "Artanunji".*]*

Machiavelli, N. (2019) . *Stanford Encyclopedia of Philosophy.*

Maclahan, H. (2001). *TELEVISION: THE SHIMTY GIANT.* Publishing: ,,Art".

Makarov (2021) *istoriya. izd. Moskva [History, Moscow)*

Barta, T. (1998). *Screening the Past: History since the Cinema.* Cambridge Praeger.

Machiavelli, N. (2019) . Stanford Encyclopedia of Philosophy

Maclahan, H.(2001). *TELEVISION: THE SHIMTY GIANT*, Publishing: ,,Art".

Barta, T.(1998). *Screening the Past: History since the Cinema*. Cambridge Praeger.

Barkey, K. (2008). *Empire of Difference: The Ottomans in Comparative Perspective*. Published by: Oxford University Press.

Davis, N. (2000). Film and Historical Vision. Cambridge: Harvard University Press.

Erdem, Y.(2019). Popular History and Popular Historiography, İstanbul: Timaş Publications.

Mandal, S.(2005). Film and Fiction, Jaipur, Rawat Publications.

Rosenstone, R.(2001). *The Historical Film: Looking at the past in a Postliterate Age in The Historical Film: History and Memory in Media*. Rutgers University Press, New Jersey. https://roii.ru/conf/2008/7-8.pdf